შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 1130
18/05/2018

1130-1-2-201805181357

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ბატონ მიხეილ დუნდუას

ბატონო მიხეილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მის განხორციელებას. ზემოაღნიშნული პოლიტიკის მიზანია ერთის მხრივ, ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებების დაცვას და მეორეს მხრივ, უზრუნველყოს მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში, რისი ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ასევე ქვემო ქართლის სახელმწიფო-რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული კორესპონდენციის გათვალისწინებით, ივნისი-ივლისის პერიოდში იგეგმება საინფორმაციო კამპანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი), სხვადასხვა თემატიკასთან მიმართებაში. საინფორმაციო კამპანიას კოორდინირებას გაუწევს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მიმდინარე წლის 22 მაისამდე თქვენი უწყებიდან წარმოგვიდგინოთ კანდიდატურა, რომელიც თანდართულ კორესპონდენციაში მითითებულ საკითხებთან მიმართებაში ჩაერთვება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში წარმოებულ საინფორმაციო კამპანიაში.

0134 თბილისი, ინგოროყვას ქ. 7 0134 Tbilisi, Ingorokva str. 7 ტელ./Tel.: (995 32) 292 18 91, ფაქსი/Fax: 292 16 50

ამასთან გაცნობებთ, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან საკონტაქტო იქნება ქ-ნი ელვირა ეიბოვი (მობ: 557924979).

დანართი: 3 (სამი) გვერდი.

პატივისცემით,

ლაშა დარსალია

სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმძღვანელობა